ოქმი:**ო08. 3723108001**

თარიღი:**18/04/2023**

ოქმი № 7

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

2023 წელი, 18 აპრილი

ქ.ოზურგეთი

12.30 -13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. მახარაძე, ნ. ურუშაძე, ალ. ღლონტი, გ. ჩავლეშვილი, ბ. კილაძე, ვ. ნიჟარაძე, გ. შილაკაძე, დ. დარჩია, ლ. ბიგვავა, პ. კიღურაძე, გ. კილაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ქ. ოზურგეთში მდებარე 17500 კვ.მ.არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს.კ. N26.26.40.114) თანდართულ ტოპოგრაფიულ ნახაზზე(იხ.მიბმული ფაილები) მონიშნული, სავარაუდოდ 5500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თ. ბაქანიძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: დ.ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თ. ბაქანიძე

მომხსენებელმა, დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტები-„ქ. ოზურგეთში მდებარე 17500 კვ.მ.არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს.კ. N26.26.40.114) თანდართულ ტოპოგრაფიულ ნახაზზე(იხ.მიბმული ფაილები) მონიშნული, სავარაუდოდ 5500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ამავე საკითხებზე უფრო ვრცლად ისაუბრა თანამომხსენებელმა თ. ბაქანიძემ, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს განკარგულების პროექტების ჯერ საკრებულოს ბიუროს, შემდეგ საკრებულოს სხდომებზე წარდგენა განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი ორივე საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი